

საქართველოს პარლამენტის
საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი

თურქეთის სტრატეგია სამხრეთ კავკასიასთან
მიმართებაში

ანგარიში: N14, 2008, 29 აპრილი

(მოამზადა კომიტეტის სტაჟიორმა ია პოზიდმა)

თურქეთის სტრატეგია სამხრეთ კავკასიასთან მიმართებაში

კავკასიის რეგიონი ესაზღვრება ატლანტურ თურქეთს, რომელიც თავის მხრივ სტრატეგიულად აკონტროლებს მოსაზღვრე ზონას.

კავკასიით თურქეთის დაინტერესებას მრავალი ასპექტი გააჩნია. დამოუკიდებლობის საწყის ეტაპზე სამხრეთ კავკასიის ქვეყნები შიშობდნენ, რომ პანთურქული იდეებით განმსჭვალული თურქეთი, შესაძლოა, მათთვის საფრთხედ ქცეულიყო. რეალურად კი აღმოჩნდა, რომ თურქეთს შეუძლია რეგიონალურ განვითარებაში ძალზე დადებითი როლი ითამაშოს, როგორც ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან დაკავშირებულმა რგოლმა და საშუალებამ.

1994 წელს თურქეთის პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა ერთ-ერთ ქართველ ჟურნალისტთან საუბრისას განაცხადა: “თურქეთი ყოველთვის მხარს უჭერდა და იცავდა სამხრეთ კავკასიაში ტერიტორიული მთლიანობისა და ძალის გამოყენებით საერთაშორისო საზღვრების დაცვის პრინციპებს. ამ პრინციპების პატივისცემაა უმთავრესი კრიტერიუმი სტაბილურობის მისაღწევად კავკასიაში, რომელიც სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების სამშობლოა. უმრავლეს შემთხვევაში კი, სწორედ ტერიტორიების ისტორიულად გადანაწილების პოლიტიკა გვევლინება არასტაბილურობის საწყისად. ამავე დროს, რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება რეგიონის ქვეყნებს შორის ეკონომიკურ თანამშრომლობას. იმედია, ჩვენი ურთიერთობები შავ ზღვას მეგობრობისა და აღმავლობის ზღვად გადააქცევს.”

ურთიერთობა სომხეთთან

ამჟამად თურქეთს სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებთან არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვს. **სომხეთთან** ურთიერთობას ახასიათებს, როგორც დაძაბულს, არაკეთილგანწყობილს. მიუხედავად იმისა, რომ სომხეთის დამოუკიდებლობა თურქეთმა 1991 წლის 16 დეკემბერს აღიარა, ამ ორ სახელმწიფოს შორის საზღვრების საკითხი დაუყოვნებლივ იქცა დაპირისპირების საგნად. როგორც თურქი ექსპერტი მუსტაფა ოდინი აღნიშნავს, საზღვრების საკითხი გადაიჭრა 1921 წლის სამშვიდობო ხელშეკრულებით დამოუკიდებელ სომხეთის რესპუბლიკასა და თურქეთს შორის, რაც დამტკიცდა თურქეთსა და საბჭოთა კავშირს შორის დადებული ხელშეკრულებითაც. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თურქეთმა დაკარგა უშუალო საზღვარი რუსეთთან. სომხეთის პარლამენტის ზოგიერთმა წევრმა დასვა საკითხი, რომ სომხეთმა არ უნდა ცნოს მოსკოვსა და ანკარას შორის დადებული ხელშეკრულებით არსებული საზღვრები და მისი ხელახალი გადასინჯვა მოითხოვა. თავის მხრივ, ანკარა უარყოფით შეფასებას აძლევს სომხეთის როლს ყარაბაღის კონფლიქტის ესკალაციის საკითხში. მისი აზრით, ერევანი არღვევს საერთაშორისო სამართლებრივ პრინციპებს ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ურღვევობის დაცვის საკითხში. თურქეთი სომხებს ბრალდებებს უყენებდა აგრეთვე საერთაშორისო ტერორიზმის ხელშეწყობაშიც, რომელსაც პარტია “დაშნაკუტიუნი” ახორციელებდა უცხოეთში თურქი დიპლომატებისა და სახელმწიფო მოღვაწეების მიმართ.

ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა იმდენად დაძაბულია, რომ საზღვარი დაკეტილია მას შემდეგ, რაც სომხეთმა მოახდინა ყარაბაღისა და შვიდი სხვა პროვინციის ოკუპაცია დასავლეთ აზერბაიჯანში 1993 წელს. ქვეყნებს შორის გაწყვიტილია დიპლომატიური ურთიერთობა. ამის მიზეზი გახდა სომხეთის მოთხოვნა 1915 წლის სომეხი ხალხის გენოციდის ცნობისა საერთაშორისო საზოგადოების მიერ. სომხეთი ამტკიცებს, რომ ოტომანთა იმპერიის მმართველობის ბოლო წლებში მოხდა 1,5 მილიონი სომეხის გენოციდი. თურქეთი უარყოფს ორივე განსაზღვრებას “გენოციდს” და “1,5 მილიონს” და ამტკიცებს, რომ “300 000” ეთნიკური სომეხის სიკვდილი გამოიწვია სხვადასხვა სახის დაავადებებმა, შიმშილმა და ეთნიკურმა ბრძოლებმა.

საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ, სენატთან ერთად, ცნო გენოციდის ფაქტი. ორივე პალატის თანხმობისა და ჟაკ შირაკის ხელმოწერის შემდეგ გენოციდის

ფაქტმა კანონის სახე მიიღო, რასაც რა თქმა უნდა, ხელი შეუწყო საფრანგეთში არსებულმა დიდმა და გავლენიანმა სომხურმა დიასპორამაც. ზოგიერთი ექსპერტის შეფასებით, საფრანგეთის მიერ სომხური ლობის ზემოქმედებით მიღებული გადაწყვეტილება რელიგიურ ელფერსაც ატარებს, რადგან ამ პოლიტიკის პირველი ინიციატორი ვატიკანი იყო და საზოგადოების მხრიდან იგი აღიქვამს, როგორც ქრისტიანული თანაგრძნობა ისლამური აგრესიის წინააღმდეგ.

თურქეთს არაერთხელ გაუფრთხილებია საფრანგეთი, თავი შეეკავებინა მსგავსი გადაწყვეტილებისაგან და იმუქრობდა საფრანგეთის საწინააღმდეგო სანქციების გატარებით. თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ბიულენტი ეჯვეითმა მოითხოვა საფრანგეთთან ეკონომიკური ურთიერთობების მკაცრი გადასინჯვა საფრანგეთი თურქეთში იარაღის უმთავრესი და უმსხვილესი მიმწოდებელი და სოლიდური ინვესტორია. თურქეთის მიერ, ანულირებულ იქნა საფრანგეთისათვის ხელსაყრელი ეკონომიკური კონტრაქტები. თურქეთში ასევე დაისვა საკითხი ორმილიონიანი ალჟირელის გენოციდის ცნობისა საფრანგეთ-ალჟირის ომის დროს. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ისმაილ ჯემმა გაილაშქრა ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებაში საფრანგეთის მონაწილეობის წინააღმდეგ, დაადანაშაულა რა იგი ტენდენციურობასა და არაობიექტურობაში.

უარყოფითად შეაფასა სომხების გენოციდის ცნობა აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმაც. მან აღნიშნა, რომ მსგავსი განცხადებები და ისტორიული მოვლენები არ შეიძლება წყდებოდეს პარლამენტში კენჭის ყრითა და ხმის მიცემით, რადგან ეს მოვლენები მიმდინარეობდა სხვა ისტორიულ პერიოდში და განსხვავებულ საზოგადოებრივ გარემოში.

სავარაუდოა, რომ სომეხი ხალხის გენოციდის ცნობა დღის წესრიგში დადგება ირანის პარლამენტშიც. სომხური საკითხის განხილვას ლობირებენ სომხური წარმომადგენელი პარლამენტარები. სომხურმა დიასპორამ აქტიური მოქმედება გააჩაღა, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ირანში. ცნობილია სამხრეთ კავკასიაში ძალთა თანაფარდობა შემდეგნაირადაა გადანაწილებული: მოსკოვი-ერევანი-თეირანი და ბაქო-თბილისი-ანკარა. ირანი და თურქეთი იღწვიან რეგიონში დომინირებისათვის. თეირანს აშფოთებს ანკარის გავლენის მოძლიერება და განიხილავს მას, როგორც თავისი ეროვნული ინტერესების საფრთხეს და ტერიტორიული მთლიანობის შემშლელ ფაქტორს, ვინაიდან ირანს გააჩნია პროვინციები კომპაქტურად აზერბაიჯანელებით დასახლებული ტერიტორიებით. ირანს ფიქრად აქვს, რომ თურქეთმა და აზერბაიჯანმა შეიძლება ხელი შეუწყო ირანის აზერბაიჯანულ მოსახლეობას სეპარატისტულ მოძრაობაში. ამიტომ, იგი მთელი ძალისხმევით მხარს უჭერს სომხეთს და ამ საშუალებით ცდილობს დააბალანსოს ძალები კავკასიაში, მაგრამ ამის მიღწევა ძალიან რთული ამოცანაა ირანისათვის.

გენოციდის აღიარების საკითხი დადგა აშშ-ს კონგრესშიც. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის მიერ მიღებული რეზოლუციის მიერ, რომელმაც ოსმალეთის იმპერიის მხრიდან 1915-1917 წლებში სომხების გენოციდის ფაქტი აღიარა, თურქეთში დაძაბულობა არ ცხრება. აღნიშნულმა დადგენილებამ მნიშვნელოვნად გააღვიძა თურქული მხარე.

ამ დადგენილებას თურქეთის უმაღლესი სამხედრო პირი გამოეხმაურა და აშშ გააფრთხილა, რომ თუ აღნიშნულ რეზოლუციას კონგრესის დანარჩენი ნაწილიც დაუჭერს მხარს, ეს აშშ-თურქეთის ურთიერთობებზე უარყოფით ასახვას კპოვებს. “იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული კომიტეტის მიერ მიღებულ დადგენილებას წარმომადგენლობითი პალატის ასამბლეაც დაუჭერს მხარს, ჩვენი სამხედრო თანამშრომლობა შეერთებულ შტატებთან არასოდეს აღარ იქნება ისეთი კონსტრუქციული, როგორც აქამდე იყო,” – განაცხადა პრესისათვის გაკეთებულ განცხადებაში თურქეთის გენერალური შტაბის მეთაურმა, გენერალმა იასირ ბიუჯანითმა. როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, ამ შემთხვევაში თურქეთისაგან მოსალოდნელია შეტევა ჩრდილო ერაყელ ქურთ სეპარატისტებზე, რომლებიც საკმაოდ ხშირად აწყობენ სამხედრო ამბოხებებს ერაყის მოსაზღვრე თურქეთის ადმოსავლეთ ნაწილში.

აღსანიშნავია, რომ კონგრესმენების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით კი დემოკრატები, მიღებული რეზოლუციისადმი მხარდაჭერას ღიად აფიქსირებენ,

რითაც იმსახურებენ რესპუბლიკელი კოლეგების კრიტიკას. ისინი აცხადებენ, რომ ასეთ შემთხვევაში აშშ დაკარგავს მნიშვნელოვან სტრატეგიულ პარტნიორს თურქეთის სახით და ამასთანავე საფრთხის წინაშე აღმოჩნდება აშშ-ს გეგმები ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში.

ამ შემთხვევაში ძალზე საინტერესოა, თუ სად გადის ზღვარი ე.წ. სომხური ლობის შესაძლებლობებისა, რომელსაც ერთმნიშვნელოვნად უკავშირებენ კონგრესში მიღებულ გადაწყვეტილებას.

ბოლო ხანებში შეიმჩნევა თურქეთ-სომხეთის დამოკიდებულების ერთგვარი “შერბილება”, რაც სომხურ და თურქულ საქმიან წრეებს შორის გარკვეული კონტაქტების დამყარებაში გამოიხატება. ევროკავშირი მოუწოდებს ანკარას მოახერხოს ურთიერთობის აღდგენა სომხეთთან. ევროკავშირმა ანკარას გაწვევრიანების მოლაპარაკების დაწყებამდე ერთ-ერთ პირობად ყველა მეზობელთან ურთიერთობის ნორმალიზაცია წაუყენა.

თურქეთ-სომხეთის პოზიციათა დაახლოების მცდელობა 2003 წლის ივლისში, მადრიდში გამართულ ნატოს მინისტრთა შეხვედრისას დაიწყო, როდესაც თურქეთის იმჟამინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. გიულიმ ახლო მომავალში სომხეთთან საზღვრის გახსნის შესაძლებლობაზე ისაუბრა. ერევანსა და სტამბულს შორის საჰაერო ფრენა აღდგა 2005 წელს. თურქეთი ახლო მომავლისათვის რაღაც ხარისხით შეეცდება სომხეთთან ურთიერთობის მოგვარებას. სავარაუდოდ, ამას მხოლოდ ზედაპირული ხასიათი ექნება და შორს იქნება ნორმალური ეკონომიკური და დიპლომატიური თანამშრომლობისაგან. თურქეთში იციან, რომ სომხეთთან ურთიერთობების ნორმალიზაცია მტკივნეულად იქნება აღქმული აზერბაიჯანში.

ურთიერთობა აზერბაიჯანთან

თურქეთის ურთიერთობა **აზერბაიჯანთან** ყველაზე ნაყოფიერი და მჭიდროდ სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებიდან. მათი ურთიერთობა განაპირობა როგორც ენობრივმა და კულტურულმა სიახლოვემ, ისე საერთო ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა და სტრატეგიულმა ინტერესებმა. ანკარა ბაქოს თავის სტრატეგიულ მოკავშირედ მიიჩნევს და ამას არც აზერბაიჯანი უარყოფს – თურქეთი მას დიდ ფინანსურ და პოლიტიკურ დახმარებას უწევს, გამოდის ბაქოს მხარდამჭერად ყველა საერთაშორისო ფორუმზე და ორგანიზაციაში; ანკარის ინტერესებს განსაზღვრავს აგრეთვე ნავთობის საკითხიც, რომლის ექსპორტის მარშრუტის პრობლემა თურქეთმა გარკვეული კომპრომისით, მაგრამ ძირითადად მაინც თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა – საქართველოს, როგორც მეგობრულად განწყობილი ქვეყნის ტერიტორიაზე გამავალი ნავთობსადენი მისთვის უფრო საიმედო და მომგებიანია. ანკარის ინტერესებს განსაზღვრავს აგრეთვე კასპიის რეგიონის ენერგორესურსების საკითხიც. ანკარამ კასპიის ნავთობით დაინტერესება და აქტიურობა კარგა ხნის წინ დაიწყო, რადგან ნავთობსადენი საშუალებას მისცემს თურქეთს სტრატეგიული მიზნის მიღწევისათვის – უზრუნველყოს გავლენის გაძლიერება თურქულენოვან სამყაროზე ხმელთაშუა ზღვიდან ბაიკალამდე. თურქეთი იყო ერთადერთი ქვეყანა, რომელიც სომხეთთან და რუსეთთან ურთიერთობის გაუარესების რისკის ფასად, ღიად უჭერდა მხარს აზერბაიჯანს ყარაბაღის კონფლიქტში. გარდა სტრატეგიული პარტნიორობისა, რეგიონში რუსეთის ჰეგემონიის შესასუსტებლად, ამ ორ ქვეყანას ერთმანეთთან აახლოვებს ბაქო–თბილისი-ჯეიჰანის პროექტიც, რომელიც თურქეთის მომარაგებას უზრუნველყოფს აზერბაიჯანული გაზით, რაც ბუნებრივი რესურსებით ღარიბი თურქეთისათვის მეტად მნიშვნელოვანია. ვინაიდან თურქულენოვან აზერბაიჯანელებსა და თურქებს ერთმანეთთან საერთო საზღვარი არა აქვთ, საქართველომ ორივე ქვეყნისათვის დამაკავშირებელი რგოლის ფუნქცია შეიძინა. ამიტომაც თურქეთიცა და აზერბაიჯანიც ცდილობს საქართველოსთან ლოიალური და მეგობრული ურთიერთობა შეინარჩუნოს, რასაც თურქეთი სომხეთთან ვერ ახერხებს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ ნავთობსადენთან დაკავშირებით (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი) აზრთა სხვადასხვაობაა რეგიონის ქვეყნებს შორის. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გახეთი “კრასნაია ზვეზდა” იუწყებოდა, რომ ეს ნავთობსადენი ემსახურება აშშ-ს ინტერესებს, რომელსაც სურს შეაღწიოს კასპიის რეგიონში და გაზარდოს იქ თავისი გავლენა. ხოლო იმ შემთხვევაში თუ ბაქო არ დაეთანხმება ამერიკის შეერთებული შტატების მოთხოვნებს, მაშინ აშშ გაათამაშებს იქ “ფერად რევოლუციას.”

ურთიერთობა საქართველოსთან

საქართველო თურქეთისათვის მეტად მნიშვნელოვან პარტნიორად იქცა. ცივი ომის დასრულების შემდეგ, საქართველოს სურვილმა შეასუსტოს რეგიონზე რუსეთის პოლიტიკური გავლენა და მხარი დაუჭიროს ბაქო-ჯეიჰანის პროექტს, ამ ორი სახელმწიფოს ინტერესები მჭიდროდ დაახლოვა. თურქეთს სურს საქართველოსთან მეგობრული ურთიერთობები კიდევ უფრო მეტად გააღრმავოს. ამისთვის მზად არის, გაზარდოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო მხადრატყრა. ანკარა თბილისს სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში გასასვლელ ხიდად განიხილავს. განსხვავებით რუსეთისაგან, რომელიც ყოველთვის ერეოდა საქართველოს საშინაო საქმეებში და განსაკუთრებით სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საკითხებში, თურქეთი მუდამ ადასტურებდა და მხარს უჭერდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. უფრო მეტიც, როცა 2001 წლის სექტემბრის მოვლენების შემდეგ რუსეთმა დაიწყო საქართველოს დადანაშაულება პანკისში ჩეჩენი ტერორისტების მფარველობის თაობაზე, თურქეთმა და აშშ-მ ღიად დაუჭირეს მხარი საქართველოს. ამით მან არა მარტო საქართველოსადმი თანადგომა გამოხატა, არამედ მოახდინა იმის დეკლარირება, რომ მისი დამოკიდებულება საქართველოს მეგობარი სახელმწიფოების იდენტურია.

მიმდინარე ეტაპზე თურქეთი აშშ-თან ერთად წარმოადგენს საქართველოს მთავარ მოკავშირე და პარტნიორ ქვეყანას, რაც აისახება როგორც სამხედრო და პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ სფეროებში დახმარებით.

სამხედრო სფეროში თურქეთ-საქართველოს ურთიერთობები მრავალი ასპექტით ვითარდება, რაც გამოიხატება მატერიალურ-ტექნიკურ დახმარებაში, კადრების მომზადებაში, ასევე სხვა სამხედრო პროგრამების განხორციელებაში.

თურქეთ-საქართველოს ურთიერთობებში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ენერგოპროექტების განხორციელებას.

საქართველოში 2003 წლის ნოემბერში განვითარებული მოვლენების ფონზე, თურქეთი იყო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც მზადყოფნა გამოთქვა ეთანამშრომლა ახალ ხელისუფლებასთან და იმედი გამოთქვა, რომ ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობები კვლავ დარჩება კეთილმეზობლური და წარიმართება სტრატეგიული პარტნიორობის პრინციპით. უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ მოვლენას, რომ 2005 წლის ბოლოს გაუქმდა სავიზო რეჟიმი თურქეთსა და საქართველოს შორის.

თურქეთ-საქართველო-აზერბაიჯანს შორის ურთიერთობებში მნიშვნელოვანია ყარსი-თბილისი-ახალქალაქი-ბაქოს სარკინიგზო ხაზი. ამ მარშრუტის ორი მონაკვეთი არსებობს: ერთი, რომელიც გადის ბოსფორის სრუტის გვირაბში. ამ მონაკვეთის მშენებლობა დასრულდება 2009 წელს და მეორე – 98 კმ სიგრძის ყარსი-ახალქალაქის მონაკვეთი.

სტრატეგიულად, ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს რკინიგზა (KATB) შეიძლება ისეთივე მნიშვნელოვანი გახდეს, როგორცაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი და ბაქო-თბილისი-ერზრუმი.

ამ პროექტთან დაკავშირებით აშშ-ს ზომიერი პოზიცია უკავია, იგი არც ეწინააღმდეგება და არც ღიად უჭერს მხარს. არის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ასეთი პოზიცია განპირობებულია ძლიერი სომხური ლობით, რომელიც ამტკიცებს, რომ ეს პროექტი იზოლაციაში აქცევს ქვეყანას.

ყარსი – ახალქალაქი – თბილისი - ბაქო გახდება უმოკლესი გზა ცენტრალურ აზიასა და ხმელთაშუაზღვისპირეთს, ცენტრალურ და აღმოსავლეთ

ევროპის ბაზრებს შორის. ამ მარშრუტის გავლით და თურქეთის სმელთაშუაზღვისპირეთის პორტის მერსინის საშუალებით, ჩინური და ცენტრალური აზიის საქონელი ხელმისაწვდომი იქნება შუა აღმოსავლეთის, ჩრდილოეთ აფრიკის, ევროპისა და ამერიკისათვის.

2007 წლის 29 იანვარს სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ქვეყანა მზადაა გახსნას საზღვარი თურქეთთან და მიიღოს მონაწილეობა პროექტში.

2007 წლის ნოემბერში ქ. თბილისში გაიმართა თურქეთის რესპუბლიკის აბდულა გიულის ვიზიტი, რომელიც შეხვდა ქვეყნის პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, და მათ ერთად გახსნეს ეს პროექტი.